

ორმხრივი შეთანხმებები

ავსტრიის რესპუბლიკა

- „საქართველოს მთავრობასა და ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების“ საიმპლემენტაციო ოქმი – *ხელმოწერილია ქ. ვენაში 2013 წლის 11 ივლისს, ძალაშია 2014 წლის 1 იანვრიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრს შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ვენაში 2010 წლის 22 თებერვალს, ძალაშია 2011 წლის 1 იანვრიდან.*

აზერბაიჯანის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სასაზღვრო წარმომადგენელთა/სასაზღვრო კომისართა საქმიანობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბაქოში 2018 წლის 11 ივნისს, ძალაშია 2019 წლის 23 აპრილიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების, შეზღუდვის და შემსუბუქების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2013 წლის 1 აგვისტოს;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებასა და ინფორმაციის გაცვლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბათუმში 2011 წლის 20 ოქტომბერს, ძალაშია 2012 წლის 25 იანვრიდან;*
- შეთანხმება „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბაქოში 1997 წლის 18 თებერვალს, ძალაშია 1997 წლის 12 დეკემბრიდან.*

ამერიკის შეერთებული შტატები

- „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ნარკოტიკების კონტროლისა და კანონიერების განმტკიცების სფეროში

თანამშრომლობის შესახებ“ 2001 წლის 18 ივნისის შეთანხმების №23 შესწორება – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2016 წლის 30 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

- საიმპლემენტაციო შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტს შორის ბირთვული და სხვა რადიოაქტიური მასალის უკანონო კონტრაბანდის თავიდან აცილებაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2005 წლის 6 დეკემბერს, ძალაშია;
- შეთანხმება „საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს შორის საქართველოსათვის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილებისათვის ექსპორტის კონტროლის სისტემის შექმნაში დახმარების გაწევის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 1998 წლის 30 იანვარს და ქ. ვაშინგტონში 1998 წლის 26 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- შეთანხმება „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობისა და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ვაშინგტონში 1997 წლის 17 ივლისს, ძალაშია 1997 წლის 10 ნოემბრიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტები:

- თანამშრომლობის მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების გამომიების ფედერალურ ბიუროს შორის სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მიზნებისათვის თანამშრომლობისა და დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2015 წლის 27 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შორის თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2014 წლის 8 დეკემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ბელარუსის რესპუბლიკა

- შეთანხმება "საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2015 წლის 23 აპრილს, ძალაშია 2016 წლის 1 თებერვლიდან;
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2014 წლის 11 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის რეადმისიის შესახებ“ და მისი საიმპლემენტაციო ოქმი – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2015 წლის 23 აპრილს, ძალაშია 2016 წლის 18 ივნისიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტები:

- ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგამომიებო კომიტეტის ხელმძღვანელთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე განზრახულებების თაობაზე“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 30 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების არასრულწლოვანი ბავშვების გაჯანსაღების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. მინსკში 2016 წლის 21 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ბენილუქსის ქვეყნები

- „საქართველოსა და ბენილუქსის სახელმწიფოებს (ბელგიის სამეფო, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ნიდერლანდების სამეფო) შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების“ საიმპლემენტაციო ოქმი – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2013 წლის 5 სექტემბერს, ძალაშია 2018 წლის 1 ივნისიდან.

ბულგარეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის საგანგებო სიტუაციებისგან დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2015 წლის 15 ოქტომბერს, ძალაშია 2016 წლის 1 მაისიდან;*
- „საქართველოს მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების“ საიმპლემენტაციო ოქმი – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2012 წლის 1 აპრილს, ძალაშია 2012 წლის 8 ოქტომბრიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. სოფიაში 2011 წლის 18 მარტს, ძალაშია 2011 წლის 5 ივლისიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 1998 წლის 26 ნოემბერს, ძალაშია 1999 წლის 13 აპრილიდან;*
- ოქმი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ბულგარეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის საერთაშორისო მიმოსვლის გზებსა და საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებზე არსებული ვითარების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის წესის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 1998 წლის 26 ნოემბერს, ძალაშია 1999 წლის 13 აპრილიდან;*
- ოქმი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ბულგარეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის საერთაშორისო მიმოსვლის გზებზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიზნით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 1998 წლის 26 ნოემბერს, ძალაშია 1999 წლის 13 აპრილიდან.*

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ბერლინში 2014 წლის 9 ივლისს, ძალაშია 2017 წლის 20 მარტიდან;
- საიმპლემენტაციო ოქმი „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის 2010 წლის 22 ნოემბრის შეთანხმების განხორციელების შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ბერლინში 2016 წლის 4 აპრილს, ძალაშია 2016 წლის 8 ივლისიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტები:

- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რაინლანდ–ჰვალცის შინაგან საქმეთა, სპორტისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი“ – ხელმოწერილია ქ. მაინცში 2016 წლის 31 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქსონიის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის განზრახვის თაობაზე ერთობლივი განცხადება“ – ხელმოწერილია ქ. დრეზდენში 2016 წლის 29 აგვისტოს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბადენ–ვიურტემბერგის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა, გაციფროვნებისა და მიგრაციის სამინისტროს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი“ – ხელმოწერილია ქ. შტუტგარტში 2016 წლის 30 აგვისტოს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჰესენის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა და სპორტის სამინისტროს შორის განზრახვის თაობაზე ერთობლივი განცხადება“ – ხელმოწერილია ქ. ვისბადენში 2016 წლის 31 აგვისტოს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დანის სამეფო

- „საქართველოს მთავრობასა და დანის სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმება – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2014 წლის 11 ნოემბერს, ძალაშია 2016 წლის 1 აგვისტოდან.*

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო

- „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის“ შეთანხმება – *ხელმოწერილია ქ. ლონდონში 2019 წლის 21 ოქტომბერს.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სააგენტოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ლონდონში 2014 წლის 24 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს ადმინისტრაციულ ხელისუფლებასა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. კაიროში 1999 წლის 3 ივნისს, ძალაშია.*

ევროპის კავშირი / ევროპული / ფრონტექსი / სეპოლი

- ასოცირების შესახებ შეთანხმება „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ – *ხელმოწერილია ქ. ბრიუსელში 2014 წლის 27 ივნისს, ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან;*

- შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ბრიუსელში 2010 წლის 22 ნოემბერს, ძალაშია 2011 წლის 1 მარტიდან;
- შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 4 აპრილს, ძალაშია 2017 წლის 31 ივლისიდან;
- „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დანართი 1-ში ცვლილებები შეტანის თაობაზე“ საქართველოსა და ევროპოლს შორის ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმება – უკანასკნელი წერილი გაიგზავნა 2018 წლის 16 მარტს, ძალაშია 2018 წლის 21 მარტიდან;
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“ – ხელმოწერილია ქ. ჰააგაში 2018 წლის 9 მარტს, ძალაშია 2018 წლის 20 ივნისიდან;
- შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ჰააგაში 2018 წლის 9 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტები:

- თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და ევროპის პოლიციის კოლეჯს (CEPOL) შორის“ - ხელმოწერილია ქ. თბილისში 2011 წლის 12 დეკემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- „ოპერატიული თანამშრომლობის ჩამოყალიბების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების გარე საზღვრებზე ოპერატიული თანამშრომლობის მართვის ევროპის სააგენტოს (Frontex) შორის“ – ხელმოწერილია 2008 წლის 4 დეკემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ესპანეთის სამეფო

- „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება – *ხელმოწერილია ქ. მადრიდში 2015 წლის 21 იანვარს, ძალაშია 2015 წლის 1 ოქტომბრიდან.*

ესტონეთის რესპუბლიკა

- „საქართველოს მთავრობასა და ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების“ საიმპლემენტაციო ოქმი – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2012 წლის 12 სექტემბერს, ძალაშია 2012 წლის 9 ნოემბრიდან;*
- შეთანხმება „სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ესტონეთის რესპუბლიკის პოლიციისა და საზღვრის დაცვის საბჭოს შორის“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2011 წლის 5 დეკემბერს, ძალაშია 2012 წლის 14 თებერვლიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ესტონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ტალინში 2010 წლის 13 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ერთობლივ განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ესტონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ტალინში 2017 წლის 7 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

თურქეთის რესპუბლიკა

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2012 წლის 22 თებერვალს, ძალაშია 2012 წლის 1 სექტემბრიდან.*
- ოქმი „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საქართველოს, თურქეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ტერორიზმის,

ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მე-9 მუხლის შესრულების შესახებ” – *ხელმოწერილია 2005 წლის 10 მარტს ქ. ანკარაში;*

- „სასაზღვრო ხელშეკრულება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 1997 წლის 14 ივლისს, ძალაშია 1999 წლის 4 მარტიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ანკარაში 1994 წლის 13 იანვარს, ძალაშია 1994 წლის 1 დეკემბრიდან.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 16 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

ისლანდიის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოსა და ისლანდიას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ნიუ-იორკში 2017 წლის 22 სექტემბერს.*

ისრაელის სახელმწიფო

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საჯარო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2013 წლის 18 ნოემბერს, ძალაშია 2014 წლის 14 სექტემბრიდან.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის სახელმწიფოს საშინაო ფრონტალური თავდაცვის სამინისტროს შორის საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. იერუსალიმში 2013 წლის 8 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

იტალიის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. რომში 2010 წლის 11 მარტს, ძალაშია 2010 წლის 28 მაისიდან.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტები:

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იტალიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 16 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტსა და იტალიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კარაბინიერთა კორპუსს შორის“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 27 ივნისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

კატარის სახელმწიფო

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- განზრახვის წერილი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კატარის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. დოჰაში 2019 წლის 15 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

ლატვიის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბათუმში 2014 წლის 30 მაისს, ძალაშია 2014 წლის 1 დეკემბრიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ (*ხელმოწერილია ქ. თბილისში 2009 წლის 8 დეკემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან*) და მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმი (*ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 28 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან*);

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტერორიზმთან, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ“ – ხელმოწერილია 2001 წლის 26 ოქტომბერს, ძალაშია 2004 წლის 9 აპრილიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტები:

- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 30 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის“ – ხელმოწერილია სუფსაში 2014 წლის 27 ივნისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლიეტუვას რესპუბლიკა

- ოქმი „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2014 წლის 27 მარტს, ძალაშია 2014 წლის პირველი ნოემბრიდან;
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ვილნიუსში 2013 წლის 26 სექტემბერს, ძალაშია 2015 წლის 14 იანვრიდან;
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ვილნიუსში 2013 წლის 26 სექტემბერს, ძალაშია 2014 წლის 27 მაისიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტები:

- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 31 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს შორის“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 19 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

მალტის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და მალტის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ვალეტაში 2011 წლის 8 ივნისს, ძალაშია 2011 წლის 21 ივლისიდან.*

მოლდოვას რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ და მისი საიმპლემენტაციო ოქმი – *ხელმოწერილია ქ. კიშინოვში 2014 წლის 6 ოქტომბერს, ძალაშია 2016 წლის 1 აგვისტოდან;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მოლდოვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებასა და ინფორმაციის გაცვლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბათუმში 2011 წლის 20 ოქტომბერს, ძალაშია 2012 წლის 23 მაისიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მოლდოვას რესპუბლიკის სასაზღვრო სამსახურს შორის სასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. კიშინოვში 2011 წლის 13 ივნისს, ძალაშია 2011 წლის 3 აგვისტოდან.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და მოლდოვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის შორის ევროპული ინტეგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. კიშინოვში 2014 წლის 6 ოქტომბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

ნორვეგიის სამეფო

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2014 წლის 12 დეკემბერს, ძალაშია 2012 წლის 15 თებერვლიდან.

პოლონეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ორგანიზებული და სხვა სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2007 წლის 31 მაისს, ძალაშია 2008 წლის 3 მაისიდან.

რუმინეთი

- ოქმი „საქართველოსა და რუმინეთს შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების თაობაზე“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 16 ოქტომბერს, ძალაშია 2019 წლის 29 ივნისიდან;
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკებით, ფსიქოტროპული ნივთიერებებითა და პრეკურსორებით უკანონო ვაჭრობისა და სხვა მძიმე დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ბუქარესტში 2004 წლის 14 მაისს, ძალაშია 2005 წლის 3 მაისიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ბუქარესტში 2016 წლის 25 აპრილს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საბერძნეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“

– ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 22 ივნისს, ძალაშია 2020 წლის 13 მარტიდან.

საფრანგეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შიდა უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. პარიზში 2009 წლის 26 ნოემბერს, ძალაშია 2014 წლის 1 დეკემბრიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პრომეთეს პროექტის ფარგლებში საფრანგეთში (ფრანგულ აეროპორტებში) ქართველი პოლიციელების წარგზავნის შესახებ – ხელმოწერილია 2020 წლის 24 იანვარს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ადმინისტრაციული შეთანხმება „საქართველოს ვიცე-პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 მაისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ტექნიკური შეთანხმება „საქართველოს ვიცე-პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრს, შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა სფეროში სპეციალისტების ერთობლივი ჯგუფის შექმნის თაობაზე“ – ხელმოწერილია ქ. პარიზში 2018 წლის 4 ივლისს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სლოვაკეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. ბრატისლავაში 2015 წლის 13 ნოემბერს, ძალაშია 2016 წლის 3 თებერვლიდან;

- „საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების“ საიმპლემენტაციო ოქმი – *ხელმოწერილია ქ. ბრატისლავაში 2015 წლის 13 ნოემბერს, ძალაშია 2016 წლის 22 აპრილიდან.*

სომხეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სასაზღვრო წარმომადგენელთა - სასაზღვრო კომისართა საქმიანობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2016 წლის 5 ოქტომბერს, ძალაშია 2017 წლის 3 თებერვლიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ეროვნული უშიშროების სამსახურს შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2011 წლის 29 ნოემბერს, ძალაშია 2012 წლის 28 თებერვლიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის პოლიციას შორის დანაშაულთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებასა და ინფორმაციის გაცვლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბათუმში 2011 წლის 20 ოქტომბერს, ძალაშია 2012 წლის 17 თებერვლიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი დაბრუნების უზრუნველყოფის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2006 წლის 27 ივნისს, ძალაშია 2006 წლის 7 დეკემბრიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციათა თავიდან აცილებისა და მათ შედეგების ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ერევანში 1997 წლის 30 მაისს, ძალაშია 2000 წლის 31 მაისიდან.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის პოლიციას შორის თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ერევანში 2016 წლის 16 დეკემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

უზბეკეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ტაშკენტში 1995 წლის 4 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

უკრაინა

- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბათუმში 2011 წლის 20 ოქტომბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის სახელმწიფოების ტერიტორიებზე არალეგალურად მყოფ პირთა მიღებისა და გადაცემის შესახებ (რეადმისია)“ და მისი საიმპლემენტაციო ოქმი – *ხელმოწერილია ქ. კიევში 2003 წლის 22 აპრილს, ძალაშია 2004 წლის 26 მაისიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის საწარმოო ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 1998 წლის 7 დეკემბერს, ძალაშია 1999 წლის 7 აგვისტოდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის სასაზღვრო საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. კიევში 1996 წლის 31 აგვისტოს, ძალაშია 1997 წლის 4 ივლისიდან.*

უნგრეთი

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ბათუმში 2019 წლის 11 ივლისს, ძალაშია 2020 წლის 9 თებერვლიდან;*
- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის დანაშაულის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2012 წლის 27 ნოემბერს, ძალაშია 2013 წლის 1 მაისიდან;*
- „საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ ბრიუსელში, 2010 წლის 22 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმების“ საიმპლემენტაციო ოქმი – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2012 წლის 27 ნოემბერს, ძალაშია 2013 წლის 28 თებერვლიდან.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 21 აპრილს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

ფიჯის რესპუბლიკა

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიჯის რესპუბლიკის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს შორის საპოლიციო თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2018 წლის 24 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

ყაზახეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტერორიზმთან, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული

ნივთიერებების, პრეკურსორების უკანონო ბრუნვასთან, ორგანიზებულ და სხვა სახის დამნაშავეობასთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ასტანაში 2005 წლის 31 მარტს, ძალაშია 2012 წლის 26 იანვრიდან;*

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო ავარიების, სტიქიური უბედურებების თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ალმა-ათაში 1997 წლის 11 ნოემბერს, ძალაშია 2000 წლის 18 იანვრიდან.*

ყირგიზეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2016 წლის 13 ოქტომბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;*
- მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს შორის საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და ლიკვიდაციის სფეროში ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2016 წლის 13 ოქტომბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

შვედეთის სამეფო

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2017 წლის 7 თებერვალს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ერთობლივი განცხადება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის მთავრობას შორის დანაშაულის, განსაკუთრებით კი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ზომების შემდგომი გაძლიერების შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. სტოკჰოლმში 2018 წლის 13 მარტს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

შვეიცარიის კონფედერაცია

- შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის ქვეყანაში უნებართვოდ მყოფი პირების რეადმისიის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. ჰელსინკში 2005 წლის 8 აპრილს, ძალაშია.*

საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსის არმქონე დოკუმენტი:

- ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შვეიცარიის მართლმსაჯულებისა და პოლიციის ფედერალურ დეპარტამენტს შორის მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 16 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

ჩეხეთის რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 ივლისს;*
- ოქმი „საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე“ – *ხელმოწერილია ქ. თბილისში 2019 წლის 10 ივლისს, ძალაშია 2020 წლის 1 ივლისიდან.*

ჩინეთი სახალხო რესპუბლიკა

- შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – *ხელმოწერილია ქ. პეკინში 2017 წლის 25 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან.*

მრავალმხრივი შეთანხმებები

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC)

- 1998 წლის 2 ოქტომბრის შეთანხმება „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულთან და კერძოდ მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის შესახებ“ – *საქართველოსათვის ძალაშია 2000 წლის 27 ივლისიდან;*
- 2002 წლის 15 მარტის დამატებითი ოქმი (საკონტაქტო პირების ქსელის შექმნის შესახებ), რომელიც თან ერთვის "BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულის, კერძოდ მისი ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" შეთანხმებას – *საქართველოსათვის ძალაშია 2004 წლის 30 მაისიდან;*
- 2004 წლის 3 დეკემბრის დამატებითი ოქმი "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", რომელიც თან ერთვის "BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის დანაშაულის, კერძოდ მისი ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" შეთანხმებას – *საქართველოსათვის ძალაშია 2005 წლის 16 ოქტომბრიდან;*
- 1998 წლის 15 აპრილის შეთანხმება "BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შემთხვევებში სასწრაფო დახმარების აღმოჩენაში და სასწრაფო საპასუხო ზომების მიღებაში თანამშრომლობის შესახებ" – *საქართველოსათვის ძალაშია 2004 წლის 29 სექტემბრიდან;*
- 2005 წლის 20 ოქტომბრის დამატებითი ოქმი (საკონტაქტო პირების ქსელის შექმნის შესახებ), რომელიც თან ერთვის "BSEC-ის წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შემთხვევებში სასწრაფო დახმარების აღმოჩენაში და სასწრაფო საპასუხო ზომების მიღებაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას" – *საქართველოსათვის ძალაშია 2007 წლის 5 ივლისიდან.*

სუამი (GUAM) დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია

- 2002 წლის 20 ივლისის შეთანხმება „სუამ-ის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებს შორის ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და სხვა საშიშ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- 2008 წლის 4 დეკემბრის ოქმი, რომელიც თან ერთვის „სუამ-ის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებს შორის ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და სხვა საშიშ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2003 წლის 4 ივლისის შეთანხმება „სუამ-ის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებს შორის საგანგებო სიტუაციებზე შეტყობინებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

გაერო

14 ანტიტერორისტული კონვენცია:

- „ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ“ კონვენციის 2005 წლის 8 ივლისის შესწორება - საქართველოსთვის ძალაშია 2012 წლის 5 აპრილიდან;
- 2005 წლის 13 აპრილის გაეროს კონვენცია "ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 2010 წლის 23 აპრილიდან;
- 1999 წლის 9 დეკემბრის გაეროს კონვენცია "ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 2002 წლის 27 სექტემბრიდან;
- 1997 წლის 15 დეკემბრის გაეროს კონვენცია "ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 2004 წლის 18 თებერვალიდან;
- 1991 წლის 1 მარტის გაეროს კონვენცია "პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდების შესახებ მათი გამოვლენის მიზნით" - საქართველოსათვის ძალაშია 2000 წლის 24 ივნისიდან;

- 1988 წლის 10 მარტის ოქმი "კონტინენტურ შეღწევაზე განლაგებული ფიქსირებული პლატფორმის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის უკანონო აქტების აღკვეთის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 9 ნოემბრიდან;
- 1988 წლის 10 მარტის გაეროს კონვენცია "საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 9 ნოემბრიდან;
- "სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ" 1971 წლის 23 სექტემბრის გაეროს კონვენციის 1988 წლის 24 თებერვლის დამატებითი ოქმი "საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის აეროპორტებში ძალადობის უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 1999 წლის 17 მარტიდან;
- 1980 წლის 3 მარტის გაეროს კონვენცია "ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 7 ოქტომბრიდან; 1979 წლის 17 დეკემბრის გაეროს კონვენცია "მძევლების აყვანის წინააღმდეგ" - საქართველოსათვის ძალაშია 2004 წლის 18 თებერვლიდან;
- 1973 წლის 14 დეკემბრის გაეროს კონვენცია "საერთაშორისოდ დაცული პირების (მათ შორის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლების) წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 2004 წლის 18 თებერვლიდან;
- 1971 წლის 23 სექტემბრის გაეროს კონვენცია "სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების აღკვეთის შესახებ" (მონრეალის კონვენცია) - საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 20 მაისიდან;
- 1970 წლის 16 დეკემბრის გაეროს კონვენცია "საჰაერო ხომალდის გატაცების აღკვეთის შესახებ" (ჰააგის კონვენცია) - საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 20 მაისიდან;
- 1963 წლის 14 სექტემბრის გაეროს კონვენცია "საჰაერო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულების და ზოგიერთი სხვა ქმედების შესახებ" (ტოკიოს კონვენცია) - საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 14 სექტემბრიდან.

კორუფცია:

- 2003 წლის 31 ოქტომბრის გაეროს კონვენცია "კორუფციის წინააღმდეგ" - საქართველოსათვის ძალაშია 2008 წლის 4 ნოემბრიდან.

ორგანიზებული დანაშაული:

- 2000 წლის 15 ნოემბრის გაეროს კონვენცია "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" (პალერმოს კონვენცია) -საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 5 სექტემბრიდან;
- "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" გაეროს კონვენციის 2000 წლის 15 ნოემბრის დამატებითი ოქმი "ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ" (პალერმოს ოქმი) -საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 5 სექტემბრიდან;
- "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" გაეროს კონვენციის 2000 წლის 15 ნოემბრის დამატებითი ოქმი "სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ" (პალერმოს ოქმი) - საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 5 სექტემბრიდან.

ადამიანის უფლებები:

- "წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ" 1984 წლის 10 დეკემბრის გაეროს კონვენციის 2002 წლის 18 დეკემბრის დამატებითი ოქმი (OP-CAT) - საქართველოსათვის ძალაშია 2005 წლის 9 აგვისტოდან;
- "ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" 1979 წლის 18 დეკემბრის გაეროს კონვენციის 1999 წლის 6 ოქტომბრის დამატებითი ოქმი (OP-CEDAW) - საქართველოსათვის ძალაშია 2002 წლის 1 აგვისტოდან;
- 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვთა უფლებების კონვენციის 2000 წლის 25 მაისის დამატებითი ოქმი "ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ" (OP-CRC-SC) -საქართველოსათვის ძალაშია 2005 წლის 28 ივნისიდან;
- 1989 წლის 20 ნოემბრის გაეროს კონვენცია "ბავშვთა უფლებების შესახებ" (CRC) - საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 2 ივნისიდან;

- 1984 წლის 10 დეკემბრის გაეროს კონვენცია "წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ" (CAT) - საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 26 ოქტომბრიდან;
- 1979 წლის 18 დეკემბრის გაეროს კონვენცია "ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (CEDAW) - საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 26 ოქტომბრიდან;
- 1973 წლის 30 ნოემბრის გაეროს კონვენცია "აპარტიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 2005 წლის 21 მარტიდან;
- 1966 წლის 7 მარტის გაეროს კონვენცია "რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" (ICERD) - საქართველოსათვის ძალაშია 1999 წლის 2 ივნისიდან;
- 1966 წლის 16 დეკემბერის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი - საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან;
- 1966 წლის 16 დეკემბერის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი - საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან;
- 1948 წლის 9 დეკემბრის გაეროს კონვენცია "გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი დასჯის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 1993 წლის 11 ოქტომბრიდან.

ნარკოტიკული საშუალებებით უკანონოდ ვაჭრობა:

- 1988 წლის 20 დეკემბრის გაეროს კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 1998 წლის 8 იანვრიდან;
- 1971 წლის 21 თებერვლის გაეროს კონვენცია "ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ" - საქართველოსათვის ძალაშია 1998 წლის 8 იანვრიდან;
- 1961 წლის 30 მარტის გაეროს "ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ" ერთიანი კონვენცია 1972 წლის 25 მარტის ოქმით მასში შეტანილი ცვლილებებით - საქართველოსათვის ძალაშია 2000 წლის 27 მარტიდან.

ევროპის საბჭო

ტერორიზმი:

- „ტერორიზმის აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 2003 წლის 15 მაისის შემსწორებელი ოქმი – საქართველოსათვის ძალაშია 2004 წლის 8 დეკემბრიდან;
- 1977 წლის 27 იანვრის ევროპის საბჭოს კონვენცია „ტერორიზმის აღკვეთის შესახებ“ – საქართველოსათვის ძალაშია 2001 წლის 15 მარტიდან.

კორუფცია:

- „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის“ 2003 წლის 15 მაისის დამატებითი ოქმი – საქართველოსათვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან;
- 1999 წლის 4 ნოემბრის „კორუფციის შესახებ სამოქალაქო სამართლის კონვენცია“ – საქართველოსათვის ძალაშია 2003 წლის 1 ნოემბრიდან;
- 1999 წლის 27 იანვრის „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია“ – საქართველოსათვის ძალაშია 2008 წლის 1 მაისიდან.

ორგანიზებული დანაშაულები:

- 2007 წლის 25 ოქტომბრის ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ – ძალაშია 2015 წლის პირველი იანვრიდან;
- 2005 წლის 16 მაისის ევროპის საბჭოს კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ – საქართველოსათვის ძალაშია 2008 წლის 1 თებერვლიდან;
- 2005 წლის 16 მაისის ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ – საქართველოსათვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან;
- 2001 წლის 23 ნოემბრის ევროპის საბჭოს კონვენცია „კიბერდანაშაულის შესახებ“ – საქართველოსათვის ძალაშია 2012 წლის 1 ოქტომბრიდან;
- 1990 წლის 8 ნოემბრის ევროპის საბჭოს კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების,

ამოღების და კონფისკაციის შესახებ“ – საქართველოსათვის ძალაშია 2004 წლის 1 სექტემბრიდან.

სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარება:

- „სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 2001 წლის 8 ნოემბრის მეორე დამატებითი ოქმი – საქართველოსათვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან;
- „სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 1978 წლის 17 მარტის დამატებითი ოქმი – საქართველოსათვის ძალაშია 2003 წლის 20 აგვისტოდან;
- 1959 წლის 20 აპრილის ევროპის საბჭოს კონვენცია „სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ“ – საქართველოსათვის ძალაშია 2000 წლის 11 იანვრიდან.

ადამიანის უფლებები:

- „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 2001 წლის 8 ნოემბრის დამატებითი ოქმი (ზედამხედველობით ორგანოებთან და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებით) – საქართველოსათვის ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან.
- 1996 წლის 3 მაისის „ევროპის სოციალური ქარტია“ – საქართველოსათვის ძალაშია 2005 წლის 1 ოქტომბრიდან.
- 1995 წლის 1 თებერვლის „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენცია – საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან.
- 1987 წლის 26 ნოემბრის „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია“ (CPT) – საქართველოსათვის ძალაშია 2000 წლის 1 ოქტომბრიდან.
- „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის“ 1993 წლის 4 ნოემბრის დამატებითი ოქმი #1 – საქართველოსათვის ძალაშია 2002 წლის 1 მარტიდან.

- „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის“ 1993 წლის 4 ნოემბრის დამატებითი ოქმი #2 – საქართველოსათვის ძალაშია 2002 წლის 1 მარტიდან.
- 1981 წლის 28 იანვრის ევროპის საბჭოს კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ – საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან.
- 1950 წლის 4 ნოემბერს ქ. რომში ხელმოწერილი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენცია (ECHR) – საქართველოსათვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან.